საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10332/01
30/10/2020

10332-01-2-202010301759

შპს „აჩინებულის“ დირექტორს
ოთარ ორკოდაშვილს
მის: თელავის მუნიციპალიტეტი,
სოფ. კურდღელაური, 1-ლი IV შესახვევი N7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 16 ოქტომბერს N 16275 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თელავში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 30 სექტემბრის N9321/01 წერილით უკვე გეცნობათ, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რაც წარმოდეგნილ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის განხილული, კერძოდ,

- ინფორმაცია მოხმარებული წყლის რაოდენობის შესახებ;
- მიმდინარე წლის 17 სექტემბერს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი N 14724) მითითებულია, რომ ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვისთვის მოეწყობა მცირე ზომის არხები და მოხდება აღნიშნული წყლების სალექარის გავლით ზედაპირული წყლის ობიექტში „მაწანწარას ხევში“ ჩაშვება. თქვენ მიერ წარმოდგენილ განახლებულ სკრინინგის განცხადებაში აღნიშნული ინფორმაცია არ არის მოცემული, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები, წყალჩაშვების წერტილის კოორდინატის მითითებით, ასევე დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო წყლების მართვის საკითხი.

ამასთან, ტექნიკური წყალმომარაგების წყაროდ მითითებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ნაკვეთიდან (ს.კ. 53.08.37.002) მილებით გადმოყვანილი წყალი. სკრინინგის განცხადების თანახმად, აღნიშნული ტერიტორია უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით (სასმელ-სამეურნეო, ასევე ტექნიკური წყალმომარაგება), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებას. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების თანახმად აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ბუნებრივი აირის“ საკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის ტექნიკური

წყალმომარაგების საკითხი. ამასთან, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მილის სიგრძისა და მისი განთავსების სქემის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „აჩინებული“ უზრუნველყოფს სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე